




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მამაცაშვილი ავთანდილ ნიკოლოზის ძე



#### ა. მამაცაშვილი

მამაცაშვილი ავთანდილ ნიკოლოზის ძე (დ. 7. V. 1938, თბილისი), დირიქორი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). 1966 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიქორო ფაკ-ტი (პედ-ები: ვ. ფალიაშვილი, ჭ. გოკიელი), 1970 კი - საოპერო, სიმფ.-სადირიქორო ფაკ-ტი (პედ. ო. დიმიტრიადი). 1959-66 იყო თბილ. III მუს. სასწავლებლის, 1966-71 - თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის პედაგოგი; 1968-73 - საქართვ. ფილარმონიის, 1972-83 - თბილ. მუსკომედიის, 1972-81 - ლონდის (პოლონეთი) საოპერო, 1982-84 - კიევის, 1984-93

- თბილისისა და ქუთაისის (1987) ოპერისა და ბალეტის თეატრების დირიქორი, იმავდროულად (1980-იდან) - თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის პედაგოგი და საოპერო სტუდიის დირიქორი. 1988-93 დაარსა „ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი“ (სამხატვრო ხელმძღვ. და მთ. დირიქორი). მ-მა აშშ-ში (1990) ამ ორკესტრთან და ამერიკელ მომღერლებთან ერთად ქართულ ენაზე დადგა 8. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. 1997 ჩამოაყალიბა კამერული ორკესტრი ქუთაისში. მ-ის დირიქორობით შესრულდა 8. ფალიაშვილის „დაისი“, ო. თაქთაქიშვილის „მუსუსი“ და „პირველი სიყვარული“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, ბ. კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“, გ. ყანჩელის „...და არს მუსიკა“, ჭ. და ვ. კახიძეების „ბარბალე“; მ-ს რეპერტუარში იყო აგრეთვე ა. მოცარტის „დონ ჟუანი“, მ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“, ჟ. ბიბეს „კარმენი“, ჭ. პუშკინის „ბოპემა“ და სხვ. მუსკომედიაში - ვ. აზარაშვილის „შვიდნი ძმანი გურჯანელნი“, გ. ცაბაძის „თოვლიანი მთების მელოდიები“, შ. მილორავას „ჩანჩერა“, „ძუნწი“, ა. მაჭავარიანის „ბაღლინჯო“ და სხვ. აგრეთვე ფ.

ღლონტის, ვ. აბარაშვილის, ვ. კუხიანიძის, ნ. გუდიაშვილის, ა. შავერბაშვილისა და სხვათა  
სიმფონიური ნაწარმოებები.

ლიტ.: წ უ ღ უ კ ი ძ ე თ., არაერთი სიახლის წამომწყები, „მუსიკა“, 2013, №1.

**რ. ქუთათელაძე**

**გ. ჭავარიძე**

---